№ 109

ოთხშაბათი, 23 მაისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 109

ოთხშაბათი, 23 მაისი, 1901 წ.

რედაქცია

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“-მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25-სა და 26 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისასთან, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში“, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

## საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

ტელეფონი № 741.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის საჰკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—28)

## გამგეობა

ქუთაისის წყლის მილის ამხანაგობისა „სამთო ინჟენერი ა. დ. მიხაილოვი და ამხ.“

საყოველთაოდ აცხადებს, რომ აღნიშნულმა **ამხანაგობამ** მოქმედება დაიწყო. მსურველთ შეუძლიანთ ჰაიები შეიძინონ. ამხანაგობის **გამგეობა** იმყოფება ტფილისში, ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. გამგე-დირექტორის კანტორა (ქუთაისის კანტორა) ქუთაისშია.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

გ. ი. **ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. **მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. **მატილოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. **ფედოროვი**. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. **მარკევიჩი**—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

**საღამოთი:**

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. **ბელოგოლოვი**—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

გ. გ. **მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. **ნავასარდიანი**. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. **ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. **გმელიშვილი**. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. **კარაშეტიანცი**. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ნ. ნ. **როსტომბეკოვი**. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. **თარხანოვი**. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. **ნავასარდიანი**. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. **არვანიტაკი**. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## მიწა

კარგ ადგილას მდებარე, ვერაზედ, ჯართა ბანაკის მახლობლად, იმის ზემოთ, სადაც ახალ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიას აგებენ, იყიდება საჟენი 2 მანეთიდგან 75 კაპეიკამდე. მსურველმა უნდა ჰკითხოს იქვე დარაჯს დათიკოს, ან მიხეილის ქუჩაზედ, № 127, ძირითა სართულში. (2—127—2)

## შემოწირულება

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. მაკინე ქაიხოსროს ასულმა ამირეჯიბისამ—საბანი და მარაო; კნ. ციციშვილისამ—ძვირფასი ნაკერი ბალიში; „ი. ალხაზიშვილის საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობამ“—8 შუშა ღუხი და 11 ნაჭერი კარგი საპონი.

## ახალი ამბავი

** ამას წინად ვწერდით, რომ საერო განათლების სამინისტროში შემუშავებულ იქმნა მთავარი საფუძველნი საშუალო სკოლის მომავალ რეფორმებისაო. აი ეს საფუძველნი: აზრადა აქვთ შემოიღონ ერთის ტიპის საშუალო სასწავლებელი, სადაც სწავლა შვიდ წლიწადს იქმნება. პროგრამები ერთნაირი იქმნება როგორც სახელმწიფო, აგრეთვე იმ კერძო სასწავლებელთათვის, რომელთაც სუბსიდია ეძლევათ სხვა კერძო სასწავლებელთ ნება ექმნებათ სხვა სამოსწავლო გეგმაც შემოიღონ. ლათინურისა და ინგლისურის სწავლა სავალდებულო არ იქმნება. ბერძნულ ენას მხოლოდ ხუთ გიმნაზიაში ასწავლიან, შემდეგ ქალაქების თითო გიმნაზიაში: პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ვარშავისა და იურიევისაში. ლათინურის ენის სწავლება მეოთხე კლასიდგან დაიწყობა. საშუალო სასწავლებლების პირველ სამ კლასის პროგრამები შეთანხმებული იქმნება დაბალ სკოლების პროგრამებთან. განზრახულია სამის ახალის საგნის შემოღება: რუსეთის აღწერისა, კანონმდებლობისა და ბუნების მეტყველებისა. პირველის ორის საგნის შესწავლა სავალდებულო იქმნება მხოლოთ იმათთვის, ვინც ლათინურ ენის შესწავლაზედ უარს განაცხადებს, ბუნების მეტყველებაკი ყველასათვის სავალდებულო იქმნება. სწავლა დამთავრებულთ უეგზამენოთ შეეძლებათ შესვლა ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტზედ; იურიდიულსა და სამკურნალოზედ მიიღებენ იმათ, ვინც ლათინურ ენას შეისწავლის, ფილოლოგიურზედ—ვინც ორსავე ძველ ენას შეისწავლის. იმათ, ვისაც არც ერთი ძველი ენა არ ექმნება შესწავლილი, შეუძლიანთ შევიდნენ იურიდიულსა, სამკურნალო და საფილოლოგიო ფაკულტეტებზედ, თუ ძველს ენებში შესაფერს ეგზამენს დაიჭერენ. სამხედრო ბეგრის გარდახდის დროს ამ სასწავლებელში დამთავრებულთ მეტი შეღავათი მიეცემათ.

** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახული ბაზრობა 17 და 18 ივნისის ნაცვლად გაიმართება პარასკევს, 25, და შაბათს, 26 მაისს. გამგეთ იმიტომ გარდასწყვიტეს ეხლა ბაზრობა-სეირნობის გამართვა, რომ მალე ხალხი სოფლად გაიკრიფება და ივნისში ცოტა დაესწრობა ბაზრობას. ამას გარდა არც ერთ კვირა დღეს მუშტაიდი თავისუფალი არ არის. მრავალი მშვენიერი ნივთია შეძენილი ამ ბაზრისათვის.

** 20 მაისს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ეგნატე ნინოშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო.

** როგორც ოზურგეთიდგან დეპეშით გვატყობინებენ, 21 მაისს განსვენებულ ეგნატე ნინოშვილის საფლავზედ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს პანაშვიდი გადაუხდია.

** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ აღკრძალულ იქმნა სურსათის ვაგონ-დუქნების გზავნა. რადგანაც სადგურების მოსამსახურენი ამის გამო დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, რკინის გზის უფროსმა ბრძანება მოახდინა ბაქოსა და ყარსის შუა 45 სადგურზედ ხაზინის ხარჯით იყოლიონ განსაკუთრებული მოსამსახურენი სურსათისათვის გასაგზავნად.

** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ამას წინად ახალი ბრძანება გამოსცა, რომელშიაც ნათქვამია: ძალიან ხშირად ისმის, რომ სადგურებში ბუფეტის პატრონნი საჭმელში მგზავრებს დაწესებულ ნიხრზედ მეტს ართმევენ და ბევრჯელ თვით კერძებსაც პატარებს ამზადებენ. მგზავრთა საჩივრების თავიდგან ასაცილებლად, ვუბრძანებთ სადგურის უფროსებს ყურადღება მიაქციონ ბუფეტებს, დაავალონ პატრონთ სტოლებზედ დააწყონ ხოლმე საჭმელების დაბეჭდილი სია, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს ფასიც. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმასაც, რომ კერძები სწორედ იმოტელა იყოს, რამოდენასაც რესტორანებსა და სასტუმროებში ამზადებენ.

** რადგანაც ხშირად რკინის გზის სადგურებზედ მორიგი აგენტები და კონდუქტორები სამსახურის აღსრულების დროს, რადესაც მატარებელი სადგურში სდგას, ბაქანზედ პაპიროსსა სწევენ ან ბუფეტში შედიან, იქ ადგილს იჭერენ და პურსა სჭამენ, რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომლითაც აგენტებსა და კონდუქტორებს აეკრძალათ სამსახურის დროს ბაქანზედ პაპიროსის მოწევა და ბუფეტში შესვლა საჭმლისათვის.

** ჭიათურის შავის ქვის წარმოებამ ორის ამხანაგობის დაარსება გამოიწვია. ერთი საფრანგეთში დაარსდა, მეორე ინგლისში. პირველს ეწოდება „დარკვეთის შავის ქვის უსახელო საზოგადოება“; ძირის თანხად 1,600,000 ფრანკი აქვს ამ საზოგადოებას; მეორეს—„რუსეთის შავის-ქვის საზოგადოება“; ძირის თანხად მას 30,000 გირვანქა სტერლინგი აქვს.

** გზათა მინისტრმა დაამტკიცა იმ გამოკვლევათა პროგრამა, რომე-

ლიც ამ ზაფხულს შავის ზღვის პირად ოჩემჩირსა და გუდაუთში უნდა მოახდინონ. ოჩემჩირისათვის, სადაც შესაძლებელია მომავალში შავისქვის გასაზიდი ნავთ-სადგური იქმნას დაარსებული, ვრცელი პროგრამაა შემუშავებული. როგორც ვუწყით, ტყვარჩელის აგარაკში შავი ქვა აღმოჩნდა. ამ გარემოებამ გამოიწვია ახალი გამოკვლევანი. რაც შეეხება გუდაუთს, წარსულ წელს ადგილობრივმა მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა ნავთ-სადგურის აგების შესახებ და გამოკვლევასაც ამისთვის ახდენენ.

*** ამას წინად გაზეთებში აღნიშნული იყო, რომ სამეგრელო-გურიისა და იმერეთის ეპარქიების უფროსთ ჩამოერთვათ უფლება დამოუკიდებლად ადგილობრივ სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლების მართვა-გამგეობისაო. ეხლა, სასულიერო მთავრობას განუზრახავს აღნიშნულ ეპარქიების სამრევლო-საეკლესიო სკოლებიც საექსარხოსო მთავრობას დაუქვემდებაროს.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ გადააყენა ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრი ი. გ. ჩიმაკაძე. როგორც ეხლა „ახ. მიმ.“-ს ატყობინებენ, საკრებულოს თავისი წინანდელი დადგენილება უკანონოდ უცვნია და გადაუწყვეტია სენატს აცნობოს ეს ამბავი და წინანდელი დადგენილება გააუქმოს. რადგანაც სენატთან მიწერ-მოწერა დიდ დროს მოინდომებს, ხოლო ჩიმაკაძის გამგეობაში ყოფნა-კი საჭიროა, ზოგიერთ ხმოსანთ მოხსენება შეაქვთ საბჭოში იმის შესახებ, რომ ამ საქმის თაობაზედ სენატს ტელეგრაფით მოელაპარაკონ.

*** ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს, როდესაც ყველგან რუსეთში არყის მონოპოლია იქმნება შემოღებული, თამბაქოს მონოპოლიაც შემოიღოს.

*** ხუთშაბათს, 24 მაისს, ავჭალის სახალხო თეატრში სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ბ-ნ ა. ნ. ფურცელაძის 5 მოქმედებიან ტრაგედიას „ავაზაკებს“. წარმოდგენა საღამოს 7 საათზედ დაიწყება.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლეთა გამოსაცდელი ეგზამენები ამ თვის დამლევამდე დასრულდება.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოსწავლენი ამ დღეებში უკვე დაითხოვეს საზაფხულოდ.

*** 20 მაისს ტფილისში გამოვიდა პირველი ნომერი ახლად დაარსებულ კვირეულ გაზეთის „არგონავტისა“. ამ ნომერში მოთავსებულია წერილები ა. ყიფშიძისა, პოტოსი, გორესმეხოვისა და სხვათა. ყოველ კვირეულ გაზეთთან ერთად გამოდის ყოველ დღიური გაზეთიც, სადაც მოთავსებულია ახალი ამბები სააგენტოს და საკუთარი დეპეშები.

*** 20 მაისს დაბა ხონში უკურთხებიათ ახლად დაარსებული სახალხო წიგნთ-საცავი.

*** წარსულ აპრილის თვის განმავლობაში ბაქოში სულ 55 მილიონი ფუთი ნავთი ამოუღიათ მიწიდგან.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანები, როგორც „ახ. მიმოხილვას“ შეუტყვია, ამა წლის შემოდგომაზედ მოხდება.

*** რუსეთის სამუსიკო საზოგადოების მთავარ-დირექციას გადაუწყვეტია დააარსოს ბაქოში განყოფილება. სამუსიკო კლასების დირექტორად ჰნიშნავენ თურმე ქ-ნ ერმოლოვისას, რომელმაც კონსერვატორია გაათავა.

*** როგორც „ნორ-დარ“-ს შეუტყვია, სრულიად სომხეთა კათალიკოსი კიშინევში აპირებს წასვლას.

*** ამ რამდენისამე კვირის წინად სპარსეთიდგან ტფილისში დაბრუნდა ტფ. მცხოვრები ბ-ნი ტერეგულოვი, რომელსაც თან მოუტანია რამდენიმე ყუთი შინა-მრეწველობისა და სამეურნეო ნაწარმოებნი. ბ-ნს ტერეგულოვს ეს ნაწარმოებნი შეუწირავს აღმოსავლეთის შემსწავლელ საზოგადოების ტფილისის განყოფილების ახლად განზრახულის მუზეუმისათვის.

*** ამ დღეებში პეტერბურგიდგან ტფილისში დაბრუნდა ტფ. მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი მამა სტეფანე.

*** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ქვემო მაჩხაანის მცხოვრებს იოსებ რიბასტანოვს გამართოს მდ. ალაზანზედ ჩაკიბულში ბორანი.

*** რედაქციამ მიიღო მეფე ერეკლეს სურათი ახალგაზრდობისა, გ. მესხიევის ფოტოტიპიის მიერ ძველი ნახატიდგან გადაღებული. სურათი მეტად მშვენივრადა და სუფთად არის გადაღებული.

*** სოფ. მატანი. 13 მაისს, საღამოს 6 საათზედ, ცა უეცრივ მოიღრუბლა და დასხა კოკის-პირული წვიმა. დაიძრა მთიდგან ნიაღვარი, მოედო ტყემინდორს; მდინარეები ვეღარ მოთავსდნენ თავიანთს კალაპოტებში, წყალი გადმოვიდა ნაპირებზედ და მთლად წალეკა ნახევარ სოფლის ნაჭირნახულევი და ვენახები. თვით სოფელში ისეთი ნიაღვრები მიდიოდა, რომ გეგონებოდათ რომელიმე დიდი მდინარე გადმოვარდნილაო. ზარალი დიდია.

*** როგორც ბაქოდგან გვატყობინებენ, 19 მაისს, საბუნჩის შტოს მე-8 ვერსზედ, ლიანდაგზედ უნახავთ ვიღაც უცნობი კაცის გვამი.

*** ბათუმიდგან გვატყობინებენ, რომ 18 მაისს, დილის 10 საათზედ, „სლესარის“ თანაშემწე მელქისედეგ ჟღენტის მუშაობის დროს მარცხენა ხელი დაუშავდაო.

*** როგორც სადგურ წიფადგან გვატყობინებენ, 20 მაისს, მატარებლის სადგურიდგან გასვლისას, ვაგონიდგან გადმოვარდნილა კონდუქტორი ალავიძე და ძალიან დაშავებული ხაშურის სადგურის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება.

22 მაისი

კრება დაიწყო შუადღის 12 საათზედ. ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკიმ სთხოვა კრებას თავმჯდომარეს ამორჩევა. კენჭის ყრით თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ი. გ. თულაშვილი (37—4). მდივანმა თავ. ნ. ჯორჯაძემ წაიკითხა გამგეობის მოხსენება ბანკის 1900 წლის მოქმედების შესახებ. ამ მოხსენებიდგან სჩანს, რომ ბანკს საანგარიშო წელს გაუცია სულ 597 სესხი 4.388,988 მანეთისა, წინა წელზედ მეტი 126 სესხით—374,998 მან. აქედგან გრძელ-ვადიანი, გირავნობის ფურცლებით: 1) სოფლის მამულებზედ—71 სესხი —307,900 მ. და 2) ქალაქის მამულებზედ —358 სესხი—3,413,900 მ. მოკლე ვადიანი, ნაღდ ფულად 1) სოფლის მამულებზედ—44 სესხი—114,910 მანეთისა და ქალაქის მამულებზედ—124 სესხი—552,278 მან. ქალაქის მამულებზედ გაცემული გრძელ-ვადიანი სესხები უზრუნველ-ყოფილია ქალაქის უძრავ მამულებით, რომელიც დაფასებულია დამფასებელ კომისიის მიერ 5,956,816 მან., ხოლო გამგეობის მიერ—5,767,401 მან. და გრძელვადიანი სესხები სოფლის მამულებზედ გაცემული უზრუნველ-ყოფილია 15,431 დესიატინა 1137 ოთხკუთხი საჟ. მიწით, რაიცა დაფასებულია დამფასებელ კომისიის მიერ 708,847 მან., ხოლო გამგეობის მიერ—627,550 მან. 1899 წლის მეორე ნახევარში დანიშნულ საჯარო ვაჭრობაზედ დარჩენია ბანკს 3 სოფლის მამული 12,745 მან. 44 კაპ. ვალით. 1900 წლის პირველ ნახევარში საჯაროდ გასასყიდად დანიშნული ყოფილა 311 ქალაქის მამული და 263 სოფლისა. გაყიდულა 22 ქალაქის მამული და 17 სოფლისა, რომელთაგან ბანკს დარჩენია 1 სოფლის მამული 1000 მან. ვალით.
ამავე წლის მეორე ნახევარში სავაჭროდ დანიშნული ყოფილა 318 ქალაქის მამული და 273 სოფლისა გაყიდულა 16 ქალაქისა და 17 სოფლის მამული. დარჩენილა ხელმეორედ 1901 წლის 18 იანვრისათვის სავაჭროდ 4 ქალაქისა და 4 სოფლის მამული—49,734 მ. 29 კ, ვალით. ამ რიგად საანგარიშო წელს ბანკს დარჩენია 4 სოფლის მამული 13,745 მ. 44 კ. ვალით. ბანკის 1900 სანგარიშო წლის მოგება უდრის 324,584 მ. 79 კ. დღიდგან თვისის დაარსებისა ბანკს გაუცია სულ 7,344 სესხი—44,531,762 მ. 95 კ. ამავე დროს განმავლობაში ბანკის ძირითადი თანხა 253,501 მ. 87 კ., გარდა იმ 87,358 მ. 69 კაპეიკისა, რომელიც გადაიდო დამფუძნებელთა თანხისათვის, გადიდებულა სულ 436,625 მ. 83 კ. და სათადარიგო თანხა შემდგარა—420,473 მ. 56 კ. საზოგადო სასარგებლო თანხისათვის გადადებულა 834,014 მ. 19 კ სასოფლო სამეურნეო თანხისათვის 80,540 მანეთი 60 კაპ., ექსტრა-ორდინარისა 117,043 მან. 19 კაპ. და სხვა. გარდა ამისა 1900 წლის მოგებაში არის 208,363 მან. 72 კაპ., რომელთაგანაც ანგარიშის დამტკიცების შემდეგ ძირითად თანხას მიემატება 20,606 მან. 14 კაპ. სათადარიგოს—40,764 მან. 15 კაპ., სასოფლო-სამეურნეოს—21,089 მან. 45 კაპ., ექსტრა-ორდინარს—10,554 მან. 72 კაპ. და სხვ. ასე რომ ამ 26 წლის განმავლობაში ბანკის მოგება უდრის სულ 2,123,290 მან. 57 კაპ., თუ არ ვიანგარიშებთ მოსამსახურეთა დასაჯილდოვებელს დივიდენდს. 1901 წ. 1-ლ იანვრისთვის რჩება: ძირითადი თანხა—457,231 მან. 97 კაპ, სათადარიგო—461,237 მან. 71 კაპ., საზოგადო სასარგებლო—73,813 მ. 06 კაპ., სასოფლო-სამეურნეო—29,458 მან. 45 კაპ., ექსტრა-ორდინარი—28,917 მან. 53 კაპ. და სხვა.

შემდეგ მდივანმა წაიკითხა კიდევ დანარჩენი მოხსენებანი და მათ შორის ზედამხედველ კომიტეტის მოგსენება, რომ ბანკის საქმენი სწორედ და კანონიერად არის წარმოებულიო. თავმჯდომარემ ი. გ. თულაშვილმა განაცხადა, რომ „ვიდრე საქმეების განხილვას შევუდგებოდეთ, გთხოვთ პატივი ვცეთ ამას წინად გარდაცვალებულს თავადს რ. დ. ერისთავსაო. კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა განსვენებულის ხსენებას.

(შემდეგი იქმნება)

---

## აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელ საზოგადოების ტფილ. განყოფილების კრება.

ამ ახლად შემდგარ საზოგადოების წევრთა კრება შაბათს, 19 მაისს, მოხდა საღამოს 9 საათზედ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის ბ-ნ ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით. პირველად კრებამ განიხილა განყოფილებისათვის სახელმძღვანელოდ შედგენილი წესდების პროექტი. დამსწრე წევრთა უმრავლესობამ სცნო, რომ ეს პროექტი სავსებით არ არის შემუშავებული, ამიტომ დაადგინა დროებით იქმნას დამტკიცებული პროექტი, ამასთან დაავალა გამგეობას ამა წლის მომავალ სექტემბრამდე შეიმუშაოს უფრო კარგად იგი და წარუდგინოს საზოგადო კრებას განსახილველად. კრებაზედ კამათი გამოიწვია თავმჯდომარის მოხსენებამ საზოგადოების განყოფილების წიგნთ-საცავთან მუზეუმის დაარსების შესახებ. ცოტა ხნის კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა დააარსოს განყოფილება მუზეუმისა და შეუდგეს ამისათვის სხვა-და-სხვა სამეურნეო, საისტორიო, თუ საარქეოლოგიო კოლექციების შეკრებას. კრებამ გადასწყვიტა აგრეთვე დააარსოს ტფილისში სპარსულსა და ადერბეიჯანურს ენებზედ ყოველ-დღიური გაზეთი.

შემდეგ კრებას წარედგინა განსახილველად განყოფილების ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა; როგორც წაკითხულ მოხსენებიდგანა სჩანს, წელს განყოფილებას შემოსავალი ექმნება საწევრო ფული 1000 მან. და შემოწირულება 500 მან., სულ 1500 მან. ხოლო ხარჯი: წიგნთ-საცავის შესანახად 300 მან., სხვა-და-სხვა ცნობებისა და კოლექციების შესაკრებად—400 მან., ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად—90 მან., კანცელარიის ხარჯი—90 მან., სტამბის ხარჯი—125 მან. სულ 1500 მან. კრებამ ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული ხარჯთ-აღრიცხვა და დასასრულ შეუდგა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანს. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მარტში კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ ამოირჩია ბ-ნი ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი, თავმჯდომარის ამხანაგად თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი; ხაზინადრად ა. იონესიანი და მდივნად ბ. მირზა-შერიფ-მირზაევი. ამ საღამოს კენჭის ყრით გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ნ. ნ. ბელიავსკი (32 ხმით), გ. გ. ადელხანოვი (32 ხმ.), გ. დ. ჟურული (35 ხმ.), ე. გ. ვეიდენბაუმი (35 ხმ.), ლ. ს. კოხანოვი (33 ხმ.), ა. ა. მელიქ-აზარიანცი (28 ხმ.), ე. ს. თაყაიშვილი (29 ხმ.) და ს. ი[illegible] (38 ხმ.), ხოლო მათ [illegible] მაქსუდ-ბეკ-ალი ხანივ-ავარსკი, ვ. დ. ყორღანოვი და ა. დ. ერიცოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ქ. ი. მამაცაშვილი, თავ. გ. რ. ჭავჭავაძე და ა. ქიშმიშევი.

---

## წერილი ჯავახეთიდგან

სოფ. ტოლოში (ახალციხის მაზრა).

ნათქვამია „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, სწორედ ასე მოუვიდათ ტოლოშელებსა და ხერთვისელებს. მარტში მოსულმა ყინვამ ხალხს ორის ზამთრის ცდა და იმედი მთლად გაუცრუა და სასოწარკვეთილებას მისცა. დადგა გაზაფხული, მოჰყვა თბილი დღეები, ამწვანდა მთა და ველი, ხეხილმა გაფურჩქვნა და ყვავილის გამოღება დაიწყო და ისეთი ხილიც-კი გამოიწვია სითბომ საყვავილოთ, როგორც თუთაა, რომ ამ დროს 22 მარტიდგან დაიწყო ისევ სიცივეები და ახლად გაფურჩქვნილი თუთა, კაკალი, ჭანჭური, ვაშლი, მსხალი (ზამთრისა) მთლად შეაცივა და ზედ მიაშვნიტა. გადარჩა მხოლოდ ალუბალი (აქ ბალი არ იცის; იშვიათად მთელს სოფელში კაცი ერთს ან ორს ძირს თუ შეჰხვდება) და ატამი, მაგრამ ამ უკანასკნელსაც 7 მაისს მოსულმა სეტყვამ მთლად დაასურევინა ნაყოფი. ასე რომ ტოლოშელებსა და ხერთვისელებს ორის წლის სარჩოთ დარჩათ მარტოდ რამოდენიმე ძირი ალუბალი (აქ ხე ორს წელიწადში ერთხელ ისხამს). რა ქმნას აქაურმა კაცმა მარტო ალუბლით, თუ მას თავისი ძვირფასი თავრეჟული, ყარანწფილა, ფაშაალმა და თუთა არ ექნება? პირველი მარჩენელი აქაურის კაცისა თუთაა; აქ თუთის ნაყოფს ისე უბრალოდ არ აფუჭებენ, როგორც ქართლსა და კახეთში.

თუთისაგან აქაურები აკეთებენ: ტკლაპს (ფუთი 3 მან.), ბაქმაზს (2 მ. 60 კ. ფუთი), ჩურჩხელას (4 მანეთი), ღეჩერს (ესეც ბაქმაზის შერეული ვაშლით, მსხლით, ანუ ჭერამით) და ძმარს; ჭხლიან აგრეთვე არაყს. ხერთვისელები ხომ პურის მაგივრადაც მთელი ზაფხულობით თუთას ხმარობენ, რის გამოც აქაურები ხშირად დასცინიან და ანდაზათაც აქვთ გადაქცეული: „როცა თუთა დამწიფდება, ხერთვისელები პურის ცომს წყალს მისცემენო“, ვითომდა შემოდგომამდის საჭირო აღარ არისო. ერთი სიტყვით ადგილობრივს მცხოვრებლებს ხილის მოუსავლობა მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩააგდებს. მოუსავლობას ზედ დაერთო ახლა ის გარემოებაც, რომ წელს სახელმწიფო ხარჯი ერთობ ბევრი დაედვა ამ სოფელს: წინა წლებში სოფ. ტოლოში 65 მან. და ხან 87 მან. იხდიდა, წელს 347 მან. 79 კაპ. უნდა გადაიხადოს. აბა რა ჰქმნას საწყალმა გლეხმა, ამ მოუსავლობაში ამოდენს სახელმწიფო ხარჯს, ბატონს, მღვდელს, მამასახლისს, მწერალსა და სხვას როგორ გაუძლვეს ან ოჯახი რითი არჩინოს.

მინდა ახლა ორიოდე სიტყვა ასპინძის აბანოს შესახებაც მოგახსენოთ. ეს აბანო ტოლოშიდგან 7 ვერსის მანძილზედა სძევს. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ, სწორედ იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ჩვენმა ძლევა-მოსილმა მეფე ერეკლე მეორემ XVIII საუკუნეში შესანიშნავად დაამარცხა ოსმალნი. ამიტომაც ეს ომი ჩვენს ისტორიაში „ასპინძის ომად“ იხსენიება. აბანოები გოგირდისაა და შესდგება ორის დიდის და ერთის პატარა აუზებისგან. ერთი მათგანი ნედ-

თბილეა, ხოლო დანარჩენი თრი-კი საკმაოდ ცხელი. მრავალი ხალხი მოდის ამ აბანოებში საბანებლად, რადგანაც წყალი ქარებისათვის (ревматизмъ) საუცხოვო წამალია. ბევრი უკხუთული და დამბლა მოუტანიათ აქ და შემდეგ რამდენისამე გზის ბანაობისა, თავისის ფეხით გზას გასდგომია. ადგილი, სადაც აბანოებია — სახაზინოა; ხაზინასვე ეკუთვნის იქვე სამი დესეტინა მიწა. აგერ რამდენი ხანია ეს ადგილი ახალციხელ ქართველ-კათოლიკეს ბაღდასარ სადატურთვის ხელშია. ამასვე აუშენებია აქ ხუთი ოთახი, რომელშიაც საბანებლად მოსულნი დგმეს ათევენ (ოთახის ქირა გარიგებით არის, ხოლო აბანო-კი უფასოა). აძლევდა რამეს ხაზინას სადატიეროვი აქამდე, თუ არა, ეს ნამდვილათ არ ვიცით, მაგრამ ახლა-კი შევიტყეთ, რომ მას აბანოები მიწებით სამის წლის ვადით აუღია, წელიწადში 37 მან. ბ-ნი სადატიეროვი აბანოებს ყურადღებას მიაქცევს და თავისის ინტერესების დასაცველად მდინარე მტკრის მხარეს კედელს შემოარტყავს, რომ წინანდებურად წყალდიდობამ არ წაღეკოს აბანო და ზემოდგან უბრალო ფიცრით მაინც არის დახუროს აუზები, რომ ამითი მობანავეს ავდარში წვიმა და კაი დარში მზის სიცხე აცილოს. აგრეთვე მტკვარზედ ხიდი გააკეთოს, რადგანაც ტივით გასვლა-გამოსვლას ბევრი ვერც-კი ჰბედავს.

აქეთ ამ ჟამად არავითარი ავადმყოფობა არ არის, მხოლოდ სოფელს ალასტანში (ჯავახეთშია) საქონლის ჭირი მძვინვარებს, რომელმაც დიდძალი საქონელი გაუწყვიტა აქაურებს. ამის გამოყვლდა გზები შეკრულია, რომ ავადმყოფობა სხვაგანაც არ იქმნას გადატანილი. აქეთკენ 12 აპრილიდგან 11 მაისამდე თითქმის ყოველ-დღე წვიმა მოდიოდა ეს რამდენიმე დღეა-კი პატარა დათბა; იქნება ღმერთმა გვიბრალოს, წყლები ჩამოჯდეს და ხერთვისში ხიდს ვეღირსოთ?

მასწავლებელი ტოლოშის სკოლისა გიგო შატბერაშვილი

# რუსეთი

მთავრობამ საჭიროდ სცნო რკინის გზებზედ დაარსოს განსაკუთრებული საელექტრო-ტეხნიკო სკოლები.

— მოსკოვში 14 მაისს გარდაიცვალა ბ. გ. სოლოდოვნიკოვი, რომელსაც 40 მილიონ მანეთზედ მეტის ქონება დარჩა. ანდერძი განსვენებულს 9 მაისს დაუწერია. ამ ანდერძით სოლოდოვნიკოვს სამის კაცისათვის მიუნდვია მთელის თავის ქონების ფულად ქცევა. ამ ფულიდგან 400,000 მანეთი უნდა მიეცეს ახალგაზდა ქალს, რომელიც განსვენებულს უვლიდა და იმის სახლს პატრონობდა; შემდეგ 300,000 მანეთი ერთს შვილობილს, 100,000 მანეთი—მეორე შვილობილს, ინჟენერს; დანარჩენ შვილობილთ, სახელდობრ—ოთხ ქალს რომელთაგან ერთი ამერიკაში სცხოვრობს, და აგრეთვე მრავალ ნათესავებსა და მახლობელ ნაცნობებს (ყველანი დასახელებულნი არიან) თითოს 50-დგან 100 ათასს მანეთამდე. დანარჩენი თანხა 30 მილიონ მანეთამდე საქველ-მოქმედო საქმეებისათვის უნდა იქმნას გადადებული: ერთი მესამედით (12 მილიონი) უნდა დაარსდეს მთელს რუსეთში დედათა გიმნაზიები. ამდენივე უნდა მოხმარდეს რუსეთში საპროფესიონალო სკოლების დაარსებას, დანარჩენი ფულით უნდა აგებულ იქმნას იაფ-ფასიანი სადგომები ღარიბთათვის როგორც მოსკოვსა, ისე რუსეთის სხვა ქალაქებში. ანდერძის აღმასრულებელთ, ვიდრე ანდერძს განახორციელებენ, შრომისათვის ჯილდოდ მიეცემათ წელიწადში 40,000 მანეთი თითოს. სოლოდოვნიკოვს არაფერი დაუტოვებია ერთად-ერთ თავის პირდაპირ მემკვიდრის ძმისათვის, რომელიც ეხლა დავას აპირობს თურმე. რამდენისამე დღის წინად ძმასთან რაღაც ლაპარაკი მოსვლია და, როგორც ამბობენ, ამიტომ არაფერი დაუტოვებია იმისთვის. განსვენებული სიკვდილამდე მეტად ღარიბულად სცხოვრობდა თურმე. იდგა სულ უბრალო ხის სახლში, შიგ სტოლი, რამდენიმე სკამი და გაცვეთილი დივანი იყო მხოლოდ თურმე. თვით მილიონერს მუდამ გახუნებული და ქონისაგან გალესილი ხალათი ეცვა. შეშას არასოდეს არა ყიდულობდა, ხოლო ოთახს ახურებდა იმ ძველის ყუთებით, რომლებსაც თავის სახლის მაღაზიებში უყრიდა თავს. ფულს სურსათის სასყიდლად არასოდეს არ ანდობდა ერთად ერთ მოსამსახურე ქალს, მუდამ თითონ დადიოდა ბაზარში და ყიდულობდა საჭმელად სულ მცირე რამეს.

— მთავრობამ გადასწყვიტა იანვრიდგან გაამრავლოს რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელთა რიცხვი.

— როგორც ვუწყით, მთავრობას აზრადა აქვს გააწესრიგოს რკინის გზის სადგურებზედ მოსამსახურეთა სამუშაო საათები. ამ საგნის განხილვას გზათა სამინისტროსთან არსებული ინჟენერთა საბჭო მიმდინარე წლის შემოდგომაზედ შეუდგება.

— პროფესორს ლესგაფს შეუმუშავებია სტუდენტთა ორგანიზაციების პროექტი. ამ პროექტით სტუდენტებს ნება ექმნებათ შეადგინონ ამხანაგობანი სხვადა-სხვა საქმეებისათვის. სტუდენტებს შეეძლებათ იქონიონ კასსა, წიგნთ საცავი, სასამართლო და სასადილო. საქმეების წესიერად მოსაწყობად ყველა კურსის 100 სტუდენტმა უნდა აირჩიოს მამასახლისი. მამასახლისებმა უნდა განაგონ კურსის საქმეები, სისრულეში მოიყვანონ სტუდენტთა ყრილობების დადგენილებანი და საქმე იქონიონ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

9 მაისს ლუდვიგსგაფენის სადგურზედ შემდეგი ამბავი მომხდარა. ბაზელ-ფრანკფურტ-ბერლინის რკინის გზის ჩქარი მატარებელი საღამოს 9 საათსა და 18 წუთს უნდა მისულიყო ამ სადგურში. მატარებელი მართლაც ამ დროს მისულა, მაგრამ სადგურში წყნარად შესვლის ნაცვლად შურდულივით შევარდნილა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ მატარებელს ტორმოზები გაფუჭებული ჰქონია. საოცარის სიჩქარით შევარდნილა იგი სადგურში, ამხტარა ბაქანზედ, შემდეგ გაუნგრევია მგზავრთა დარბაზის კედლები, გავარდნილა მეორე მხარეს ქუჩაში, გადასულა ცხენის რკინის გზის ლიანდაგს, გადაუქცევია გემთა ნავთსაყუდელის კედელი, გადაუსროლია იქვე მდგომი ორი ვაგონი და ზღვაში გადავარდნილა; ზღვაში მხოლოდ ორთქლმავალი გადავარდნილა, ვაგონები-კი ზემოდ დარჩენილან. საბედნიეროდ, უბედურება ამ დროს დიდი არა მომხდარა რა. დარბაზში მატარებელს გაუჭყლეტია ერთი დედაკაცი, რომელიც ქმარს ელოდა თურმე. ამას გარდა სამი მოსამსახურე დაშავებულია, ერთი მძიმედ, ორი სუბუქად.

* * *

ბაზრებსა, იარმუკებსა და სხვა სავაჭრო და აგრეთვე სასეირნო ადგილებში ჩაის გასასყიდად ვიღაც ალუსკის გამოუგონია ველოსიპედი-სამოვარი. ეს ველოსიპედი სამთვალიანია. სამოვარი უკანა თვლებს შუა აქვს გაკეთებული, წინ კაცი ზის. სამოვარს გარეშემო პატარა ყუთები აქვს ჩაისა, შაქრისა, კოვზებისა, ჭიქებისა, ნახშირისა და სხვათა ჩასაწყობად. ეს ველოსიპედი—სამოვარი მეტად მოხერხებული რამა ყოფილა თურმე.

* * *

მაინცში ამას წინად დამთავრებულა სათეატრო სეზონი. დირექციას გაზეთებში გამოუქვეყნებია იმ ნივთების სია, რომლებიც საზოგადოებას სეზონის განმავლობაში თეატრში დარჩენია. აი ეს ნივთები: 91 ხელთათმანი, 41 ხელსახოცი, ორი ლოცვანი და 2 კრიალოსანი.

* * *

წარსულის წლის დეკემბერს ბუდდის სარწმუნოების ერთ ბერს სასამართლომ ექვსის თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. ბერს ქურდები დაეცნენ და გაძარცვეს. ბერი არ ამხელდა ქურდებს და საზოგადოდ არაფერს ამბობდა ამ ქურდობის შესახებ, სასამართლომ სასჯელი სწორედ ამისათვის გარდაუწყვიტა. ჩვენების ნაცვლად ბერი ბუდდას მოძღვრებიდგან ამ სიტყვებს იმეორებდა: „ყაჩაღმა რომ ხერხი აიღოს და შენი ტანი შუაზედ გადახერხოს, მაინც არ უნდა გეწყინოსო“.

* * *

კლონდაიკი, სიცივისა და ცხოვრების პირობათა სიძნელის მიუხედავად, ხალხს მაინც ბლომად იზიდავს. როგორც საფრანგეთის ადგილობრივი ელჩი იუწყება, იუკონის ველში, სადაც ამას წინად ცოცხალი არსება არ მოიპოვებოდაო, ამ ჟამად 13,395 სული ადამიანი სცხოვრობს თურმე. 1899 წელს 80 მილიონ ფრანკის ოქრო ამოუღიათ კლონდაიკში.

* * *

ნემეცურ გაზეთებში ისე დღე არ გაივლის, რომ განცხადება არ დაიბეჭდოს „ქალთა საყურადღებოდ“. ზოგ განცხადებაში აწერილია ქალების გასალამაზებელი წამალი, ზოგში—გასასუქებელი, ზოგში კიდევ—გასახდუნებელი. ბერლინის პოლიციას ამას წინად ქიმიურად გაუსინჯია და აღმოუჩენია, რომ ყველა ეს წამლები გაკეთებული ყოფილა ფქვილისაგან, რომელსაც წყალს და სასურნებელ წვეთებს ურევენ თურმე. მუშტარი-კი ამ წამლებს აუარებელი ჰყოლია.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 მაისი.

**რომი.** დილის 9 საათზედ, დედოფალს ქალი ეყოლა. დედოფალი და პრინცესა თავს კარგად გრძნობენ.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენის შუაგულ ოლქებში პეტიციები დააქვთ, რომლებშიაც თხოულობენ, რომ გაუქმებულ იქმნას ეხლანდელი პასუხის-მგებელი მთავრობა და სამხრეთ-აფრიკის საქმეთა მოწესრიგება მიენდოს ინგლისის მთავრობას. პეტიციის ხელის მომწერთა შორის მრავალი ჰოლანდიელიც ურევია.

**იოკაჰამა.** იმპერატორმა იტოსთან მოლაპარაკების შემდეგ ხელახლა მოიწვია ვიკონტი კატსურა. ჰფიქრობენ, რომ კატსურა იკისრებს კაბინეტის შედგენასაო. აქ მიღებული ცნობები სარწმუნოს ჰყოფს იმ ხმას, რომელიც გავრცელდა კორეის კუნძულ კველპორტზედ ქრისტიანების წინააღმდეგ მომხდარ უწესოების შესახებ; ხოლო ფრანგთა მღვდლის მოკვლის ამბავი არა მართლდება. კორეის მთავრობა ჯარებს ჰგზავნის უწესოების მოსასპობლად.

**შანჰაი.** იანიხვეის პროვინციიდგან მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ მთელს პროვინციაში დიდი აღელვებაა თურმე, იმდენად პოლიტიკურის მიზეზებისა გამო კი არა, რამდენადაც იქ გაჩენილ კალიისა გამო, რომელიც მსწრაფლად ანადგურებს ჯეჯილს.

**ნიუ-იორკი.** შერთებულ შტატების მთავრობას არ შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს ჩინეთის სესხის უზრუნველ-ყოფის საქმეში, რადგანაც კონსტიტუცია ამას ხელს უშლის.

**ბერლინი.** „Norddeutsche Zeitung“ იუწყება, რომ ამ უკანასკნელს დროს მიღებულ იქმნა ცნობები იმპერიის მრავალ ადგილში მოსავლის ცუდ მდგომარეობის შესახებ, და ამის გამო იმპერიის კანცლერმა მინისტრ-პრეზიდენტმა ბიულოვმა დაავალა კაბინეტს, რომ შეძლების დაგვარად თვითეულს სამინისტროში მიღებულ იქმნას საჭირო ზომები მოუსავლობის ასაცილებლად.

**დონის როსტოვი.** ღამის 2 საათზედ, გაზის ქარხანაში რეზერვუარმა იფეთქა საშინელის ძალით; სახლებში ფანჯრები ჩაიმტვრა, რის გამოც ქალაქის მცხოვრებთ თავს ზარი დაეცა.

20 მაისი.

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალი ალექსეევი პორტ-არტურიდგან იუწყება: „გენერალ-ლეიტენანტი ცერპიცკი დეპეშით გვატყობინებს მუკდენიდგან, რომ ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს ძიან-ძიუნი ადმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენლებთან ერთად მოვიდა მოსალოცავად და მადლობის გამოსაცხადებლად მანჯურიის დაწყნარებისა და ხუნხუზების განადგურებისა გამო. ძიან-ძიუნი ამალითურთ დაესწრო პარაკლისს, პარადს და საუზმეს, რომლის დროსაც ძიანძიუნმა მისდამი რწმუნებულ პროვინციის სახელით ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ქალაქი დროშებით იყო მორთული“.

**სოფია.** კრებამ დაადგინა ბრალდებანი ნაჩოვიჩისა, პეშევისა და ვაჩევის წინააღმდეგ.

**ბერლინი.** იმპერატორი დასთანხმდა, რომ იმ დროს, როდესაც საფრანგეთის აფიცრებს ეძლევათ გერმანიაში შესვლის ნება-რთვა, ზოგიერთი შეღავათი იქმნას მიღებული.

**პეკინი.** ელჩები დიდად ნასიამოვნებნი არიან იმით, რომ ჩინეთმა 450 მილიონ ტაელის სამხედრო საზღაურის გადახდის თანხმობა განაცხადა. გადასაწყვეტი ეხლა მხოლოთ რამდენიმე უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი საგანი-ღაა, რომლის შემდეგაც მოლაპარაკება საბოლოოდ იქმნება დამთავრებული. ჰფიქრობენ, ცოტაოდნად საქმეს ჩინეთიდგან ჯარის გაყვანა შეაგვიანებს. ზოგიერთ წარმომადგენელთ ვერ გაუგიათ, საზღაურის ვადაზედ გადახდას უზრუნველს რანაირად ჰყოფს. ელჩთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ საზღვაო ბაჟის 10% დაწესდეს და ლიკინის გადასახადიდგან გადაიდოს საფონდოდ 5 მილიონი ტაელი; ასეთის საშუალებით, აწინდელ ვალის სარგებლის გარდახდის გარდა, გადარჩენილი იქნება 23 მილიონი ტაელი. უცხო-ქვეყნების წარმომადგენელნი უზრუნველ-ყოფის ამ საშუალებას მაშინ მიიღებენ, თუ ჩინეთი გააუქმებს ლიკინის გარდასახადს უცხო ქვეყნიდგან მოტანილ საქონელზედ.

**პეტერბურგი.** 20 მაისს, კრასნოსელსკის ბანაკში მათის უდიდებულესობათა თანადასწრებით გაიმართა პარადი იზმაილოვის რაზმის, რაზმის დღესასწაულისა გამო.

**ლაფლეში.** ლუბემ, რომელიც აქ ეს არის მოვიდა, წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მხედრობასა და რესპუბლიკის შორის შეუძლებელია ანტაგონიზმი ჰსუფევდესო. საფრანგეთი თანასწორად ერთგულია მხედრობისაცა და რესპუბლიკისაცაო.

**კანეია.** ქრისტიანმა დეპუტატებმა გადასცეს სახალხო კრებას წინადადება, რომელშიაც მადლობას უცხადებენ სახელმწიფოებს კრიტის ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის და სთხოვენ მათ კუნძულის საბერძნეთთან შეერთებას. მაჰმადიანთა დეპუტატებმა პროტესტი გამოაცხადეს, ასე რომ სახალხო კრების სხდომა შეწყვეტილ იქმნა.

**ლონდონი.** სტანდერტონიდგან იუწყებიან, რომ გენერალი ტობიას სმიტი და ლუი ბოტას მდივანი დევეტი აქ მოვიდნენო; მიზანი მათის მოსვლისა არ იციან.

**ლონდონი.** დილის გაზეთებს სწერენ პეკინიდგან, რომ ჩინეთის გუბერნატორებს თათბირი აქვთ ევროპის ადმინისტრატიულ ორგანოებთან პეკინის ჩინეთის მთავრობისათვის გადაცემის შესახებ. ისინი აცხადებენ, რომ უცხოელი ჯარი დატოვებულ იქმნას პეკინში, როგორც საპოლიციო რაზმი, ვიდრე ქალაქში ჩინეთის ჯარი შევიდოდეს.

**მადრიდი.** სენატის არჩევნების შედეგი: ლიბერალი არჩეულ იქმნა 117, კონსევატორი—56, ტეტანისტი—7, გამაზონისტი—4, რესპუბლიკანელი—2, როგერისტი—1 და დამოუკიდებელი — 1. სენატორთა შორის 9 მთავარ-ეპისკოპოსი და ეპისკოპოსია.

**პარიჟი.** სამხედრო მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო კრება სახალხო კითხვათა რესპუბლიკანურ საზოგადოებისა. მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც მადლობა გადაუხადა მხედრობის სახელით იმისათვის, რომ იგი საზოგადო კრების თავმჯდომარედ მიიწვიეს. შემდეგ შეაქო მხედრობა, „რომელიცაო, სთქვა მან,— უშიშარ ჰყოფს ხალხს გარეშე მტერისაგნ და იცავს იმის რესპუბლიკანურ დაწესებულებათ“.

**იოკაჰამა.** ვიკონტ კატსურამ იკისრა ახალის კაბინეტის შედგენა.

უტყუარის წყაროებიდგან იუწყებიან, რომ კუნძულ კველპარტაზე მოკლულ იქმნა ორი მღვდელი და ექვსი ქრისტიანი. იაპონიის სამხედრო გემი და საფრანგეთის ორი გემი წავიდნენ კველპარტში.

22 მაისი.

**პეტერბურგი.** აქ მოვიდა ჩრდილოეთ-ამერიკის შტატის ინდიანის სენატორი ბენრიჯი, რომელსაც რკინის გზის სადგურზედ ჩრდილოეთ-ამერიკის პეტერბურგელი ელჩი მიეგება.

**მოსკოვი.** ცეცხლის გაჩენის დროს პოლიაკოვის სახლში ხუთი კაცი დაიწვა და ცხრა დიდად დაშავდა.

**ვაშინგტონი.** გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი ერთად-ერთნი სახელმწიფონი იქმნებიან, რომელნიც თავიანთ მეციხოვნე ჯარს დასტოვებენ პეკინის და ზღვის შეერთებულს ადგილებში, რადგან ამერიკამ უარი განაცხადა, მაგ სამსახურს ჩემს ჯარს ვერ დავაკისრებო.

**ნიუ-იორკი.** ელჩი კონჯერი სანფრანცისკოდგან ჩინეთს მიდის; როკჰილლი ამ ახლო ხანში გამოვა პეკინიდგან.

**ჰონგკონგი.** ფრანგებს განზრახვა აქვთ ივლისიდგან ხაინანი საფრანგეთს შეუერთონ.

**მადრიდი.** სენატს, თუ მუდმივ სენატორთაც ვიანგარიშებთ, შეადგენს: 163 ლიბერალი, 112 კონსერვატორი, 24 ტეტუანისტი, 10 დამოუკიდებელი, 4 დამოუკიდებელი ლიბერალი, 7 გამაზონისტი, 3 დემოკრატი, 2 კარლისტი, 2 რომერისტი, 2 რესპუბლიკელი, 2 საერო კავშირის წევრი და 18 გამოურკვეველი მიმართულებისა, სახელდობრ ეპისკოპოსები. 11 ადგილი ცარიელია.

**ვენა.** გარეშე საქმეთა ვენგრიის დელეგაციის კომისიამ შეიწყნარა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა და ამასთანავე მხურვალე მადლობა და ნდობა გამოუცხადა მინისტრს. მოხსენებაში დამოწმებულია, რომ სამთა კავშირი შეუცვლელად განაგრძობს არსებობას და, ზოგიერთ წყაროთაგან გავრცელებულ ხმათა მიუხედავად, არავითარიმე შერყევა არ ემჩნევაო. მოხსენებაშივე ნათქვამია, რომ რუსეთთან არსებული დამოკიდებულება სასარგებლო დამატებაა სამთა კავშირისა და ამ დამოკიდებულებამ არა ერთხელ იმოქმედა კეთილ-ნაყოფიერად, განსაკუთრებით იმ უთანხმოების საქმეში, რომელიც ბუქარესტსა და სოფიას შუა აღიძრაო. რაც შეეხება სერბიის საქმეებს, მოხსენება არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ვითომ შეეძლოთ ორს მჭიდროდ შეკავშირებულს სახელმწიფოს ამავე დროს ერთმანეთს ეკონომიური ბრძოლა გაუწიონ.

**ლონდონი.** კიტჩენერი იუწყება დეპეშით: „გამოირკვა, რომ ფლაკფონტენთან ბრძოლაში ორი აფიცერი კიდევ სხვა მოუკლავთ და ერთიკი უცნობად დაკარგულაო“.

**იოკაჰამა.** კატსურამ სამინისტრო შეადგინა: სონნე-აროსუკემ დროებით იკისრა გარეშე საქმეთა მინისტრობა; კიურა-კეიგო დანიშნულია სასჯულო საქმეთა მინისტრად, კიკუშა—საერო განათლებისა, ხირატა-ტოსკე—მიწიდ-მოქმედებისა, უტსუში-ტადაკატსუ—შინაგან საქმეთა და ვიკონტი იოშიკავა—გზათა უწყების მინისტრად; სამხედრო მინისტრად ისევე გენერალი კოდამა რჩება, ხოლო ზღვათა მინისტრად—ადმირალი იამამოტე.

**პეკინი.** მოკავშირე სახელმწიფოთა გენერლების კრებამ დაადგინა—ივნისის თვის განმავლობაში ნელნელა გადავცეთ ჩინეთის მანდარინეს ქალაქის მმართვა-გამგეობაო.—ამ მიმდინარე კვირაში ტაკუში ყოველდღე ორი განსაკუთრებული მატარებელი წავა ჯარით.

**კაპშტადტი.** აქამომდე 684 კაცი გამხდარა შავის ჭირით ავად, რომელთაგანაც 318 გარდაცვლილა.

**ტიანძინი.** კვირა საღამოს ტაკუს გზაზედ შეტაკება მოხდა: ინგლისის რაზმის ჯარის-კაცებმა, რომელთაც საპოლიციო სამსახური აქვთ დავალებული, ნება არ მისცეს საფრანგეთის ჯარის-კაცებს ერთს სახლის თავს დასცემოდნენ; ფრანგებმა ხიშტები მოუღერეს და ქვების სროლა დაუწყეს; თავის დასაცველად, ინგლისელებმა თოფები ჰაერში დასცალეს. თოფის ხმამ გერმანელ ჯარის-კაცთა ყურადღება მიიქცია და ისინიც ფრანგებს მიემხრნენ; ამგვარად 200 კაცი შეგროვდა. ბოლოს ხუთმა ინგლისელმა სროლა დაიწყო და ერთი ფრანგი მოჰკლეს და სამიც დასჭრეს! ხუთი გერმანელი, ოთხი ინგლისელი და ერთი იაპონელი სუბუქად არიან დაჭრილნი. შეტაკება მოსპო გერმანელ აფიცერის მოსვლამ, რომელსაც თან საკმაოდ ძლიერი რაზმი ჰყავდა.

**პარიჟი.** პალატა. ჩინეთის საქმის განბჭობის დროს დეტურელმა განაცხადა: ამერიკელები აღარა ჰფარავენ თავის განზრახვას ევროპის ახალშენთა დაპყრობისაო. ამიტომ ამერიკელებისა უფრო დიდი შიში უნდა გვქონდეს, ვიდრე ყვითელ კანიანებისა. შემდეგ მან იკითხა: როდის დაბრუნდება ჯარი ჩინეთიდგანაო. დელკასემ უპასუხა, რომ ერთი ნაწილი უკვე ბრუნდება, გზაზედ არის, ხოლო დანარჩენთა დაბრუნება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადასწყდება საბოლოოდ ჩინეთის საქმე, რომელსაც სასყიდელის გარდახდის გარემოება აძნელებსო. მინისტრმა განაცხადა, რომ მე სამჯობინაროდა ვთვლი ვაჭრობის მხრივ უზრუნველყოფას, რათა ყველა სახელმწიფო მოწადინებული იყოს ჩინეთის ერთიანობის დაცვასაო. დასასრულ მან მადლობით მოიხსენია მოქმედება ჩინეთში.

**პეკინი.** ვალდერზეე წავიდა დღეს აქედგან. მთელი სადიპლომატიო კორპუსი შეიკრიბა რკინის გზის სადგურზედ ფელდმარშალის გასაცილებლად. მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარმაც ერთად მოიყარა თავი. ვალდერზეე ტაკუს გზით კობეში მიდის. პოდპოლკოვნიკი რაუხი აქა რჩება ჯერჯერობით, რათა შემდეგ ჩინეთის პრინცს გაჰყვეს ბერლინამდე, სადაც მან, პრინცმა, ჩინეთის იმპერატორის მხრივ მწუხარება უნდა განაცხადოს გერმანიის ელჩის მოკვლის გამო.—ელჩები ამ ჟამად იმის განსჯაში არიან, თუ რამდენი წელიწადი შეიძლება ჩინეთს მიეცეს სამხედრო სასყიდელის გარდახდის ვადადაო.

**ბრიუსელი.** გამოქვეყნებულია ტრანსვაალიის საელჩოსაგან მიღებული ცნობა პრეტორიასთან მომხდარ ბრძოლის შესახებ, რომელშიაც მეიერსა და ბრეიტენბახს ინგლისელები დაუმარცხებიათ, 600 კაცი ტყვედ წაუყვანიათ და 6 ზარბაზანი დავლად აულიათ.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრო უარს ჰყოფს იმ აქ გავრცელებულ ხმას, რომ ვითომ ამ ბოლოს დროს სამხრეთ-აფრიკიდგან ყველა მიღებულს ცნობას არ აქვეყნებდეს. იგი აცხადებს, რომ რაც-კი ცნობა მოგვივიდაა მ ბოლოს დროს სამხრეთ აფრიკიდგან კიტჩენერისაგან, ყველა საყოველთაოდ არის გამოცხადებულიო.

**კაპშტადტი.** გუშინ ქალაქ ვილოუმორს ბურები დაესხნენ თავს შეპერის უფროსობით; ისინი უკუქცეულ იქმნენ და ამ დროს მოუკვდათ ორი ჯარის-კაცი და სამი დაეჭრათ. მეორე რაზმი ბურებისა, რომელსაც ფუშე უფროსობს, გუშინ ჯემსტაუნს ემუქრებოდა.

**ტიანძინი.** გუშინ აქ, ტაკუს ქუჩაზედ, რომელიც ცუდ სახელიან ქუჩად ითვლება, შეტაკება მოუხდათ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარის კაცებს. ასტყდა ჩხუბი, რომლის დროსაც, როგორც ხმა დადის, ათამდე ჯარის-კაცი დაიჭრა.

**პეტერბურგი.** 21 მაისს გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი, გენერალ-ადიუტანტი სტიურლერი.

## შემოწირულება.

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე-კომიტეტმა საზოგადოების საპატიო წევრის გ. ს. განძიელისაგან კიდევ მიიღო ორმოცდა-სამი თუმანი იმ ასის თუმნის გარდა, რომელიც წინად შემოსწირა სათავად-აზნაურო სკოლის სახლის აშენებისათვის, რისთვისაც გამგე-კომიტეტი უგულითადესს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

კომიტეტი გულითადს მადლობას უძღვნის აგრეთვე ალექსანდრე თეოდორეს ძე სარაჯიშვილს სათავად-აზნაურო სკოლის სახლის ასაშენებლად ათის თუმნის შემოწირვისათვის.

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებთ როგორც ჩემის, აგრეთვე სავანის დების სახელით მისს მეუფებას ყ-დ სამღვდელო ალექსანდრეს, ეპისკოპოზს გურია-სამეგრელოისას, რომელმაც 5 მაისს, ინახულა-რა რწმუნებული ჩემდამო ჯახეთის დედათა სავანე, რომლის ეკკლესიის შენობის საქმეც შეჩერებული იყო უფულობისა გამო, ორასი მანეთი შემოსწირა ეკკლესიის ასაშენებლადა და ოცი მანეთიც სავანის დების სასარგებლოდ. მუხლ-მოდრეკით ვევედრები ყ-დ წ-ა ღვთის მშობელს, რომ მხცოვანის ქველ-მომქმედის ყ-დ სამღვდელო ალექსანდრეს სიცოცხლე მრავალ-ჟამიერად უვნებლად ამყოფოს ჩვენდა სანუგეშოდ.

მადლობას ვუცხადებ ერთადვე სავანის დებითურთ ქვემორე მოხსენებულთ, რომელთაც ფულათ შემოსწირეს ეკკლესიის ასაშენებლად: იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის წინამძღვარმა არხიმანდრიტმა არსენიმ 50 მან., სამების ეკკლესიის მღ. ეპიფანე ხონელიამ 50 მან., ბლაღოჩინმა ნ. რამიშვილმა 10 მან., ბლაღ. ეპ. ჩხაიძემ 5 მან., არხი-დიაკონმა ლ. ხოშტარიამ 10 მან., მღ. მ. ჩიჩუამ 5 მან., იპო-დიაკონმა მ. ჩიგოგიძემ 30 მან. ეკკ. ასაშენებლადა და 10 მან. სავანის დების სასარგებლოდ, სერგი უნგიაძემ 5 მან., ერ. ჯაველიძემ 5 მან., ფეოდოსი ჩხატარაიშვილმა 3 მან., პრიჩეტ. ი. ცინცაძემ 20 მან., დიაკონმა ს. ჩიჩუამ 3 მან., ან. კონტრიძემ 1 მან., ვასინე ჩიჩუამ 1 მან., და ი. კობალავამ 3 მან.

გურიის ჯიხეთის დედათა სავანის წინამძღვარი ელენე


ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის შავის-ქვის მწარმოებელთა კრების

**ს ა ბ ჭ ო,**

თანახმად დადგენილებისა, რომელიც 1901 წლის 12 მაისს მოხდა ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებელთა საზოგადოების საურთიერთო კრედიტის დამფუძნებელ წევრთა კერძო რჩევაზედ, ამით აცხადებს, რომ აღნიშნულის საზოგადოების წევრთა პირველი **საზოგადო კრება** მოხდება სამშაბათს, 22 მაისს 1901 წლს, დილის 11 საათზედ, კრების საბჭოს სადგომში, ქუთაისში.

კრების საგნებს შეადგენს:

1, არჩევანი კრების თავმჯდომარისა.

2, განხილვა და დამტკიცება ამ საანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვისა;

და 3, არჩევანი სხვა-და-სხვა თანამდებობისათვის საჭირო კაცებისა:

ა, გამგეობის წევრებისა;

ბ, საბჭოს წევრებისა და

გ, სარევიზიო კომისიის წევრებისა.

(3—6.—8)

**კავკასიის სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა 1901 წ.**

გამოფენა დაიწყობა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექმნება:

1, მიწად-მოქმედება.
2, მევენახეობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა-მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მეძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის-პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ. (10—6.—9)

**Открыта подписка на еженедѣльный иллюстрированный политическій литературный и общественный журналъ**

# „АРГОНАВТЪ“

**съ ежедневными прибавленіями,**

***издаваемый въ г. Тифлисъ.***

Подробная программа будетъ напечатана въ первомъ нумерѣ газеты, который выйдетъ 20-го мая.

Завѣдывающій отдѣлами: Вейденбаумъ Е. Г.—кавказовѣдѣніе и библіографія. Иностранецъ—иностранная политика. Іоаннисіани А. А.—экономическій и торгово-промышленный. А—нъ—внутреннее обозрѣніе. Потто В. А.—военная исторія. Инженеръ Рагозеръ Ю. Я.—научно-техническій. Тхоржевская А. А.—литература и искусство. Хачатуровъ И. Г.—провинціальная жизнь, хроника и судебный отдѣлъ. Горн.-инж.—Ченгеры М. И.—горно-промышленный. Бюхнеръ—художественный.

Фельетоны П. А.—Опочинина.

Постоянные сотрудники: Аствацатуровъ М. П., Борманъ К. Г., Гедеоновъ А. Г., Іоаннисіани Р. А., Иваненко В. Н., Кипшидзе А. Ф., Кипшидзе П. Ф., Кузминъ А. И., Лейстъ Артуръ, Опочининъ П. А., Пахомовъ В. Н., профес. Робрахъ, Тамамшевъ М. И., Францева В. А., кн. Черкезовъ В. Н., Чимишкіанъ А. С.

Постоянные корреспонденты въ Петербургѣ, Москвѣ, Одессѣ, Баку, Батумѣ, Кутаисѣ, Пятигорскѣ, Эривани и др. городахъ Кавказа, Берлинѣ и Парижѣ, а также въ Персіи и Турціи. Письма изъ Берлина—преф. Рорбаха и изъ Парижа—Р. А. Іоаннисіани.

**ЖУРНАЛЪ** будетъ выходить каждое воскресенье въ размѣрѣ 16 стр. in 4, съ **портретами**, **видами**, **рисунками** и **иллюстраціями по текущимъ событіямъ.**

**Подписная цѣна:** по 1-ое января 1902 г. для городскихъ и иногороднихъ 5 руб., на три мѣс.—3 руб. и два мѣс.—2 руб.

Плата за объявленія въ еженедѣльникѣ за строку петита: на 1-ой стр. 20 коп., на остальныхъ 10 коп., въ ежедневникѣ: на 1-й стр. 10 коп. и на остальныхъ 5 коп.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ редакціи и конторѣ (Головинскій № 14), въ „Центральной книжной торговлѣ“, въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекеля и въ газетномъ его агентствѣ (уголъ Барятинской и Головинского проспекта) и въ Баку въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекеля.

Редакція и главная контора: Головинскій проспектъ, домъ Сараджева, № 14. Отдѣленіе конторы: Газетное агентство Л. Б. Хиддекеля (уголъ Барятинской и Головинскаго проспекта).

Съ 1 іюля будетъ открытъ кабинетъ для чтенія русскихъ, туземныхъ и иностранныхъ газетъ и журналовъ при редакціи „АРГОНАВТА“. Въ кабинетѣ будутъ получаться до 40 названій газетъ, журналовъ, научныхъ изданій, романы, повѣсти и разсказы.

Кабинетъ будетъ открытъ съ утра съ правомъ безплатнаго входа подписчикамъ „Аргонавта“. Неподписчики покупаютъ при входѣ номера ежедневнаго прибавленія.

Редакторъ-издатель *И. Ф. Тхоржевскій*

Администраторъ *И. Г. Хачатуровъ.*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Мая 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, დორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**